ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 2022-33/ბ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **„18“ „თებერვალი“ 2022 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) **წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის ზაალ კაპანაძის სახით** და **მეორე მხრივ, შპს „ქეჩერა“** (შემდგომში „მიმწოდებელი”), მისი დირექტორის **ნიკოლოზ ჩიქოვანის სახით,** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში **ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV79800000) შესყიდვაზე, კერძდოდ:** მომსახურება მოიცავს 5,000.00 (ხუთი ათასი) ცალ ფურცელზე სააგენტოს ბლანკის დაბეჭდვას „დანართი N2“-ს შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **250.00 (ორასორმოცდაათი) ლარს.**

2.2. საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი.**

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.1.2 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 28 თებერვლის** ჩათვლით.

4.1.3 უზრუნველყოს, მოწოდებულ საქონელზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამოწვეულია შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის არასწორი ექსპლუატაციით;

4.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

4.1.5 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ბეჭდვა შემსყიდველის მიერ მიწოდებულ ქაღალდებზე.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის მოწოდებასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან;

4.2.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დასაბეჭდად მიაწოდოს ქაღალდი, რათა განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლის ნაკისრი ვალდებულება.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

4.2. კონტროლს განახორციელებს: ***სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო საკითხთა სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი: ტარიელ სანიკიძე.***

4.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით მოწოდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

5. საქონლის მოწოდების ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მოწოდება იწარმოებს შემსყიდველის მისამართზე: **ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზ.N144**

5.2. საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2022 წლის 20 აპრილის** ჩათვლით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება მხარეებს შორის დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიცური ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო"	შპს „ქეჩერა''
მის: ქ. თბილისი წერეთლის გამზ. N144 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESSGE22 ანგარიშის N: GE24NB 0330 1002 0016 5022 ს/კ: 205035120	მის: ვ. დოლიძის ქ. კორპ 27 სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის: GE69TB 7956 1360 2010 0003 ს/კ: 205268681
LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES Digitally signed by LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES Date: 2022.02.18 15:46:50 +04'00'	Nikoloz Chikovani 01017024275 Digitally signed by Nikoloz Chikovani Date: 2022.02.18 15:52:57
_____	_____
სააგენტოს დირექტორი ზაალ კაპანაძე	დირექტორი ნიკოლოზ ჩიქოვანი

დანართი N1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ

ქ. თბილისი „_____“ „_____“ 2022 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ **დირექტორი ზაალ კაპანაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____

(ორგანიზაციის სახელი)

_____

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2022 წ „---“ „----------“ # ---------- ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, მოწოდებული საქონელი.

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მოწოდებული საქონლის ღირებულებამ

შეადგინა:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით მოწოდებულია:

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

საქონელი მიიღო:
ხელმძღვანელი

საქონელი ჩააბარა:
ხელმძღვანელი

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES

საქართველო, თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ.: +995 32 251 00 11 (12-11), ვებ-გვერდი: rama.moh.gov.ge, ელ-ფოსტა: regagency@moh.gov.ge
144 AK. TSERETELI AVE., 0119, TBILISI, GEORGIA, PHONE: +995 32 251 00 11 (12-11), WEB: rama.moh.gov.ge, EMAIL: regagency@moh.gov.ge